***Ketevan Beridze***
*E-mail: k.beridze@bsu.edu.ge*
*Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University*
*Batumi,Georgia*
***ORCID ID*: *0000-0001-6268-7037***

***Shorena Meskhidze***
*E-mail: shorena.meskhidze@bsu.edu.ge*
*Batumi Shota Rustaveli State University, Assistant*
*Batumi, Georgia*
***ORCID ID*: *0000-0001-9801-5347***

***Rusudan Ketchakmadze***
*E-mail: r.kechakmadze@bsu.edu.ge*
*Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University,*
*Batumi, Georgia*
***ORCID ID:*** *0000-0003-1046-7264*

***Rusudan Beridze***
*E-mail:r.beridze@bsu.edu.ge*
*Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University,*
*Batumi, Georgia*
***ORCID ID:*** *0000-0001-5374-2815*

***Eteri Varshanidze***
*E-mail:eteri.varshanize@*bsu.edu.ge
*Batumi Shota Rustaveli State University, Assistant*
*Batumi, Georgia*
***ORCID ID*: *0000-0002-4779-2733***

# RESEARCH OF PROFESSIONAL ORIENTATIONS AMONG HIGH SCHOOL PUPILS

***Abstract.*** *The choice of a profession is one of the important stages in a person's life, it can be said that it determines most of the future life. The choice of profession is, first of all, the choice of a person. When choosing a profession, a person chooses not only the necessary means to meet material needs, but also a way of life. A choice made without regard to the profession, or only taking into account external circumstances or the interests of others, is an experiment that can cost a person and the people around him dearly.*

*The purpose of our study was to study the professional interests and professional orientation of the students of the pilot schools, to determine how well they are informed about the issues of vocational education and what factors influence the choice of a profession. We should also conduct a training on the topic: "Choose a profession." According to the hypothesis, the students of our school are less informed about the issues of vocation, and are also insufficiently prepared for the right choice of profession.*

*The results of the study confirmed our assumption. In particular, it was found that the students of our school are less informed in matters of vocational training, and are also insufficiently prepared for the right choice of profession, which means taking into account their own interests, skills and abilities when choosing a profession. Pupils experience a lack of information on issues related to professions.*

*In addition, respondents believe that the school needs the work of a psychologist who will provide qualified advice on issues related to the choice of profession.*

*It is noteworthy that it is important that pupils are better informed about what skills and abilities are necessary for mastering different professions. Therefore, at each stage of the study, it was important to determine the correspondence of skills and abilities to the chosen profession.*

***Keywords:*** *profession, specialization, interests, opportunities, prestigious profession.*

***JEL Classification: Y800***

***ქეთევან ბერიძე***
*E-mail: k.beridze@bsu.edu.ge*
*ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა*
*რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
***ORCID ID:*** *0000-0001-6268-7037*

***შორენა მესხიძე***
*E-mail: shorena.meskhidze@bsu.edu.ge*
*დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი,*
*ბათუმი, საქართველო*
***ORCID ID:*** *0000-0001-9801-5347*

***რუსუდან კეჭაყმაძე***
*E-mail: r.kechakmadze@bsu.edu.ge*
*ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა*
*რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
***ORCID ID:*** *0000-0003-1046-7264*

***რუსუდან ბერიძე***
*E-mail:r.beridze@bsu.edu.ge*
*ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა*
*რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
***ORCID ID:*** *0000-0001-5374-2815*

***ეთერი ვარშანიძე***
*E-mail:eteri.varshanize@bsu.edu.ge*
*დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი,*
*ბათუმი, საქართველო*
***ORCID ID:*** *0000-0002-4779-2733*

# პროფორიენტაციის კვლევა უფროსკლასელებთან

***აბსტრაქტი.*** *პროფესიის არჩევა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, შეიძლება ითქვას, ამით განისაზღვრება შემდგომი ცხოვრების დიდი ნაწილი. პროფესიის არჩევა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის არჩევანია. პროფესიის არჩევისას ადამიანი ირჩევს არამარტო მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო საშუალებას, არამედ ცხოვრების სტილსაც. პროფესიის დაუფიქრებლად, ან მხოლოდ გარეგანი გარემოებების, ან სხვათა ინტერესების გათვალისწინებით გაკეთებული არჩევანი, ექსპერიმენტია, რომელიც შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ადამიანსაც და მის გარშემომყოფთაც.*

*ჩვენი კვლევის მიზანი იყო, საპილოტე სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეების პროფესიული ინტერესების და პროფესიული ორიენტაციის კვლევა, იმის დადგენა, თუ რამდენად არიან ისინი ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხებზე და რა ფაქტორები ახდენს გავლენას პროფესიის არჩევაზე. ასევე, ჩაგვეტარებინა ტრენინგი თემაზე: „აირჩიე პროფესია“. ჰიპოთეზის თანახმად, ჩვენი სკოლის მოსწავლეები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხების შესახებ და ასევე, არ არიან სათანადოდ მომზადებული პროფესიის სწორად არჩევისთვის.*

*კვლევის შედეგებმა დაადასტურა ჩვენი ვარაუდი. კერძოდ, გამოვლინდა, რომ უფროსკლასელები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხების შესახებ და ასევე, არ არიან სათანადოდ მომზადებული პროფესიის სწორად არჩევისთვის, რაც გულისხმობს საკუთარი ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას პროფესიის არჩევისას. მოსწავლეები განიცდიან ინფორმაციის დეფიციტს პროფესიებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.*

*უფრო მეტიც, რესპოდენტები თვლიან, რომ საჭიროა სკოლაში მუშაობდეს ფსიქოლოგი, რომელიც კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევს მათ პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.*

*საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უფროსკლასელთათვის მნიშვნელოვანია, უკეთესად იყვნენ ინფორმირებული, თუ რა უნარები და შესაძლებლობებია საჭირო სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის. ამიტომ, კვლევის ყოველ ეტაპზე აქტუალური დარჩა, არჩეული პროფესიის მიმართ უნარებისა და შესაძლებლობების შესატყვისობის დადგენა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პროფესია, პროფორიენტაცია, ინტერესები, შესაძლებლობები, პრესტიჟული პროფესია.*

***JEL კლასიფიკაცია:*** *Y800*

**შესავალი**

**საკითხის, პრობლემის არსი.** ცნობილია, რომ პროფესიის სწორად არჩევას უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

პროფესიის სწორად არჩევის დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სპეციალისტების გაანგარიშებით, პროფესიისადმი ინტერესის უქონლობისას, სხვა თანაბარ პირობებში, მომუშავის შრომის მწარმოებლურობა მცირდება 35%-ით, პროფესიული უნარის უქონლობისას - 50%-ით, ხოლო უნარისა და ინტერესების გარეშე მუშაობისას - 70%-ით. თუ ამას დავუმატებთ პროფესიისათვის შეუფერებელი კადრების მომზადება-გადამზადებაზე გაწეულ ხარჯებს, კადრების დენადობით, წუნიანი პროდუქციის გამოშვებით, საწარმოო ტრავმატიზმის გაზრდით გამოწვეულ ზარალს - მივიღებთ არასწორი პროფორიენტაციის არასასურველ ეკონომიკურ შედეგს. სოციალური ეფექტი კი გამოიხატება ისეთი მაჩვენებლით, როგორიცაა: დასაქმებული ადამიანის შრომითი კმაყოფილების დონე, შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობა, ჯანმრთელობის შენარჩუნება და ა. შ. ადამიანს, რომელსაც მთელი ცხოვრება უწევს იმ საქმის კეთება, რომელიც არ აინტერესებს, ანდა რომლის შესასრულებლად საჭირო უნარ-ჩვევები არ გააჩნია, უჩნდება უკმაყოფილებისა და განაწყენების გრძნობა. ამასთან, ასეთი განწყობა მას უყალიბდება არა-მარტო გარშემომყოფების, არამედ მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც მისი აზრით, არ მისცეს მას თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

პროფესიის არჩევა, როგორც წესი, უნდა მოხდეს შრომითი საქმიანობის დაწყებამდე. შესაბამისად, პროფორიენტაციული მუშაობა უფროსკლასელებთან წარმოადგენს აღმზრდელობითი და სასწავლო დაწესებულებების ერთ - ერთ მოვალეობას.

**ჰიპოთეზა, მიზანი და ძირითადი ამოცანები.**

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, გვეკვლია საპილოტე სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეების პროფესიული ინტერესები და პროფესიული ორიენტაცია, დაგვედგინა, თუ რამდენად არიან ისინი ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხების შესახებ და რა ფაქტორები ახდენს გავლენას პროფესიის არჩევაზე. ასევე, ჩაგვეტარებინა ტრენინგი თემაზე: „აირჩიე პროფესია“.

კვლევის ამოცანა იყო დაგვედგინა:

- რა სტრატეგიებს იყენებენ უფროსკლასელები პროფესიის არჩევის დროს;
- შეუძლიათ თუ არა საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შეფასება;
- შეუძლიათ თუ არა პროფესიის არჩევისას გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში: ვვარაუდობთ, რომ ჩვენი სკოლის უფროსკლასელები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხების შესახებ და ასევე, არ არიან სათანადოდ მომზადებული პროფესიის სწორად არჩევისთვის.

**ლიტერატურის მიმოხილვა.**

**პროფორიენტაცია და პროფესიის არჩევა.**

უფროსკლასელები დგანან დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე, რაც ქმნის ახალ სოციალურ სიტუაციას, მთლიანად ცვლის სწავლის ღირებულებას, მნიშვნელობას, ამოცანებსა და შინაარსს. უფროსკლასელის ცხოვრებისეული გეგმები, პირველ რიგში, უკავშირდება პროფესიულ თვითგამორკვევას. პროფესიის, როგორც ქცევის განსაზღვრული

აქტის არჩევას, შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური შინაარსი და შეიძლება განხორციელდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური პროცესების საფუძველზე. ზოგიერთი-სათვის პროფესიის არჩევა - ესაა ცხოვრებისეული გზის არჩევა, საზოგადოებაში განსაზღვ-რული ადგილის პოვნა, სოციალურ ცხოვრებაში ჩართვა **(გოგიჩაიშვილი თ. 2005).**

პიროვნების, მოქალაქის ჩამოყალიბების უმთავრესი პირობაა ემოციურად მდიდარი, პროდუქტიული შრომითი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების ღირებუ-ლებებისა და თვისებების ჩამოყალიბებაზე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება, ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, შექმნას პირობები მოსწავლეთა პიროვნულ და პრო-ფესიული თითგამორკვევისთვის, პროფესიის გაცნობიერებულად არჩევისთვის **(Akimova T.N. Lisichanska A.V. 2017).**

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა, მაგრამ თვითრეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებ-ლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას. სამწუხა-როდ, ბევრ ადამიანს უწევს იმ სამუშაოს შესრულება, რომლისადმი არც ინტერესი და არც მიდრეკილება არ გააჩნია. ასეთი შემთხვევები ფიქსირდება ყველაზე პოპულარული და „მოდური“ პროფესიის წარმომადგენლებს შორისაც. ამიტომ თითოეულ ადამიანს პროფესიული ცხოვრების გზაჯვარედინზე სჭირდება დაფიქრება, რათა გამორიცხოს ან მინიმუმამდე შეამციროს შეცდომები.

პროფესიის არჩევა ხანგრძლივი პროცესი და ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაბიჯთა ჯაჭვია. იგი წარმოადგენს პიროვნების ცხოვრების პერსპექტიული დაგეგმვის მნიშვნელოვან კომპონენტს და მოითხოვს შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებას:

- **ადამიანის პირადი გეგმები,** რომლებიც დაკავშირებულია მის პროფესიულ საქმიანობასთან და კარიერასთან (პროფესიის არჩევით პიროვნება ქმნის მომავალი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საფუძველს);
- **მიდრეკილებები** - პიროვნების სურვილი, ინტერესები და მიდრეკილება განსაზღვრული სახის საქმიანობისადმი;
- **პროფესიაზე მოთხოვნა** - ამა თუ იმ პროფესიისადმი საზოგადოების მოთხოვნა და ამ პროფესიით მომუშავეებზე მოთხოვნის ცვლილების პროგნოზირება.

პროფესიის არჩევისას ადამიანები ცდილობენ, დამოუკიდებლად გაერკვნენ საკუთარ მოთხოვნილებებში, ინტერესებში, უნარებში, ღირებულებებსა და შესაძლებლობებში, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ შესაბამისი ინფორმაცია, ორიენტირება და კონსულტირება, ანუ იმის დადგენა, თუ რომელ პროფესიას შეესაბამებიან ისინი საკუთარი შესაძლებლობებითა და უნარ - ჩვევებით და რამდენად შეძლებენ საქმიანობის მოცემულ სფეროში საკუთარი პოტენციალის რეალიზაციას.

ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ადამიანს სჭირდება პროფკონსულტანტის დახმარება. პროფკონსულტანტი ეხმარება პიროვნებას იმაში, რომ მან თავისი შესაძლებ-ლობების, მოთხოვნილებების, შრომის ბაზარზე არსებული სოციალურ - ეკონომიკური სი-ტუაციის გათვალისწინებით, პროფესიის არჩევისას მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტი-ლება, არ დაუშვას შეცდომა პროფესიის არჩევისას, რაც არცთუ იშვიათი მოვლენაა, რადგან

ზოგჯერ ადამიანი მუშაობის დაწყების შემდეგ იწყებს არჩეული პროფესიის შესახებ მის მოლოდინებსა და მოცემული საქმიანობის რეალურ შინაარს შორის შეუსაბამობის გაცნობიერებას ( **E. Farmer (Ed.).**

პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული ტიპიური შეცდომებია:

- ე. წ. "რომანტიული" ან "ინტელიგენტური" პროფესიები.

როცა ადამიანი პროფესიის არჩევისას ხელმძღვანელობს მოტივით, რომ ეს პროფესია „რომანტიული" ანდა „ინტელიგენტურია", ხშირად არ იცის, რომ ამ ტიპის პროფესიებში საკუთარი თავის წარმატებულად რეალიზაციისთვის მას მოუწევს რუტინული, „არარომანტიული" და „არაინტელიგენტური" სამუშაოს შესრულებაც. ამის გამო, შემდგომში, მუშაობის რეალურ პირობებთან შეხებისას, მას ზოგჯერ შეიძლება დაეუფლოს იმედგაცრუება და სასოწარკვეთაც, რადგან პიროვნებისთვის საკმაოდ მტკივნეული და გულდასაწყვეტია იმის გაცნობიერება, რომ მოლოდინი და რეალობა ერთმანეთს არ დაემთხვა.

- "მოდური" პროფესიები.

როცა ადამიანი ირჩევს პროფესიას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პრესტიჟული და „მოდურია", ამ დროს არსებობს იმის დიდი რისკი, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს პროფესია შეიძლება აღარ იყოს პრესტიჟული და მოდური. ასეთ შემთხვევაში, პიროვნება დგება რეალობის წინაშე და უინტერესოდ ეჩვენება თავისი სამუშაო. შესაბამისად, ეუფლება იმედგაცრუება და ზოგჯერ სასოწარკვეთაც.

- პროფესიები, რომლებიც "დიდ ფულს გვპირდებიან."

ამ ტიპის პროფესიის წარმომადგენლები საქმიანობის პროცესში ხვდებიან, რომ მოცემული პროფესია ჰპირდებათ არამხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, არამედ მისგანაც საკმაოდ ბევრს მოითხოვს, იქნება ეს თავდადებული შრომა, დიდი რისკი, პირად სურვილებსა და მოთხოვნილებებზე უარის თქმა და ა. შ. ასეთ სიტუაციებშიც ხშირია უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების შემთხვევები.

დღესდღეობით პროფესიის არჩევისას ბევრი ახალგაზრდა უპირატესობას ანიჭებს იმ პროფესიას, რომელიც პოპულარული და მაღალანაზღაურებადია. ხშირად ასე არჩეული პროფესია „პროფესიად" რჩება და სხვა მიმართულებით ცდილობენ საქმიანობის დაწყებას.

ბევრ ადამიანს შესაძლოა არ ჰქონდეს პასუხი კითხვებზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროფესიის სწორად არჩევას და კარიერის დაგეგმვას მომავალი ცხოვრებისათვის. განათლების საკითხებში ექსპერტის, სიმონ ჯანაშიას თქმით, პროფესიის არჩევისას მთავარი შინაგანი მოწოდება და პირადი ინტერესებია, თუ რისი კეთება მოგვეწონება და გაგვხდის ბედნიერს: „თუ იცი, რომ კონკრეტულ სფეროში შენი ყოველდღიურობა იქნება საინტერესო და მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული, ასევე, იქნება შენთვის სასიამოვნო სამუშაო რეჟიმი, მაშინ სწორედ ის მიმართულება უნდა აირჩიო."

მოსწავლეთა პროფორიენტაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა, რომლის ძირითადი ამოცანებია პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება და აღზრდა, სწავლისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა. სასწავლო პროცესი მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ უფროსკლასელი დაეუფლოს სისტემატიზირებულ ცოდნას ბუნებაზე, საზოგადოებაზე, ადამიანზე, კულტურასა და წარმოებაზე, რომლის შედეგი იქნება მოსწავლის პიროვნების კოგნიტური, სოციალური და ფიზიკური განვითარება, რაც უნდა გახდეს მომავალი პროფესიონალის ჩამოყალიბების საფუძველი. პროფორიენტაციის

მნიშვნელოვანი ამოცანაა, მოსწავლეებში შრომის სხვადასხვა სახის მიმართ სიყვარულის აღ-ზრდა, ინტერესების, მიდრეკილებებისა და უნარების ჩამოყალიბება და განვითარება, იმ პროფესიების გაცნობა, რომლებიც წარმოადგენს ყველაზე მეტად გავრცელებულს და ასევე, იმათი, რომლებიც ყველაზე მეტად შეესატყვისებიან მათ ინტერესებს **(Zayats N. 2016).**

არაერთი ფსიქოლოგი, პედაგოგი და ბიზნეს - ლიდერი აღნიშნავს იმას, რომ აუცილე-ბელია „ოცდამეერთე საუკუნის“ უნარების განვითარება ისეთ კონტექსტში, რომელშიც ცო-დნის სფერო სწრაფად ფართოვდება, ტექნოლოგიები და სამუშაო პროცესებიც სწრაფად იცვ-ლება, სწრაფად ხდება „ცოდნის მოძველება.“ ეს უნარები მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემის გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღების, პოვნის, ანალიზის, სინთეზის უნარს, ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოიყენების უნარ - ჩვევებს, ინტერპერსონალურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს იმუშაონ სხვებთან, მათ შორის - ინტერკულ-ტურულ კონტექსტში **(Darling-Hammond, L. Flook, C. Cook-Harvey, B. Barron, D. Osher, 2019).**

მეცნიერები თვლიან, რომ პროფესიის არჩევაზე გავლენას ახდენს ფაქტორთა რიგი:

- ოჯახის წევრების პოზიცია;
- მეგობრების პოზიცია;
- პედაგოგების პოზიცია;
- ინფორმირების დონე;
- პირადი პროფესიული გეგმები;
- რეალობის შესაბამისობა პირად გეგმებთან (ამ პროფესიით სამუშაოს შოვნის შესაძლებლობები);
- პიროვნული შესაძლებლობები;
- მიდრეკილებები (საყვარელი, საინტერესო საქმიანობა) და სხვა.

პროფესიის არჩევისას ადამიანზე მოქმედებს კიდევ ერთი ფაქტორი – ესა პროფესიების დაყოფა პრესტიჟულ, ნაკლებად პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ პროფესიებად (კატეგორიებად). სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროფესიები სხვადასხვა კატეგორიაში ხვდებოდა.

**კვლევითი ნაწილი**

**საკვლევი ინსტრუმენტის აღწერა**

კვლევაში გამოვიყენეთ ტესტის, კითხვარისა და ინტერვიუს მეთოდი, რომელიც და-მუშავდა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მეთერთმეტე კლასის 16-17 წლის ასაკის მოს-წავლეები. სულ კვლევაში მონაწილეობდა 261 ცდის პირი. აქედან გავაანალიზეთ 227 შევ-სებული კითხვარის და ტესტების შედეგი, ხოლო 34 - იყო ტესტების ბატარეის საპილოტე მასალა.

**კვლევის ინსტრუმენტი და ჩატარების ეტაპები:**

კვლევაში გამოყენებულია კითხვარები, რომლებიც ავიღეთ პროფესორ გ. ქირიას რედაქტორობით მომზადებული კრებულიდან: „პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლ-ები.“ ჩვენი მიზანი იყო უფროსკლასელთა პროფესიული ორიენტაციისა და ინტერესების შესწავლა, ტრენინგის ჩატარება, რომელიც დაეხმარებოდათ პროფესიის არჩევისას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში და იმის გაანალიზება, მოახდინა თუ არა გავლენა ჩვენს მიერ

ჩატარებულმა ტრენინგმა მოსწავლეების მიერ პროფესიის არჩევისას მიღებული გადაწყვეტილების შეცვლაზე.

დაიგეგმა კვლევის ჩატარება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე მოხდა კითხვარების შევსება და ჩატარდა ტრენინგი, ხოლო მეორე ეტაპზე დამუშავდა და გაანალიზდა კითხვარების პასუხები, გადამოწმდა პროფესიის არჩევის დროს მიღებული გადაწყვეტილება ტრენინგის ჩატარებამდე და ტრენინგის ჩატარების შემდეგ.

**კვლევის შედეგები.**

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სპეციალისტების აზრი იმის შესახებ, რომ პროფესიის არჩევისას, უფროსკლასელები ძირითადად ეყრდნობიან იმას, თუ რამდენად პოპულარულია ესა თუ ის პროფესია და რას ურჩევენ მას მეგობრები, ახლობლები ან მშობლები.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა. კერძოდ, გამოვლინდა, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები ნაკლებად არიან ინფორმირებული პროფორიენტაციის საკითხების შესახებ და ასევე, არ არიან სათანადოდ მომზადებული პროფესიის სწორად არჩევისთვის, რაც გულისხმობს პროფესიის არჩევას საკუთარი ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მოსწავლეები განიცდიან ინფორმაციის დეფიციტს პროფესიებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ამასთანავე, გამართლდა ვარაუდი, რომ საჭიროა და აუცილებელი პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოხდეს პროფკონსულტანტის მიერ.

უფრო მეტიც, რესპონდენტები თვლიან, რომ საჭიროა სკოლაში მუშაობდეს ფსიქოლოგი, რომელიც კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევს მათ პროფესიის არჩევის საკითხებზე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, უკეთესად იყვნენ ინფორმირებული, თუ რა უნარები და შესაძლებლობებია საჭირო სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისთვის. ამიტომ, კვლევის ყოველ ეტაპზე აქტუალური დარჩა, არჩეული პროფესიის მიმართ უნარებისა და შესაძლებლობების შესატყვისობის დადგენა.

კვლევის პირველ ეტაპზე, გამოვიყენეთ ჰოლანდის ტესტის ნაწილი „თვითსაკვლევი," რომელიც რესპონდენტებს დაეხმარა იმ პროფესიის უკეთ გააზრებაში, რომელსაც ირჩევდნენ სამომავლოდ. ვეუბნებოდით: „თუ თქვენ უკვე აირჩიეთ პროფესია, მას შეუძლია გაგიმტკიცოთ გადაწყვეტილება ან შემოგთავაზოთ სხვა ვარიანტი. შეასრულეთ მითითება. გარწმუნებთ, ეს იქნება სასიამოვნო ექსპერიმენტი და სასარგებლო იქნება თქვენთვის.

სახელი, გვარი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - -
სქესი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

პროფესიის არჩევა

პროფესიის არჩევისას ადამიანთა უმრავლესობას ორი სახის დახმარება მაინც სჭირდება:

1. მათ სურთ დარწმუნდნენ, რომ ზუსტად შეეფერებათ პროფესია, რომელსაც ისინი ირჩევენ.
2. გაარკვიონ, ხომ არ დარჩათ არჩევანს მიღმა უფრო სასურველი პროფესია.

არცერთ ტესტს არ შეუძლია მისცეს ვინმეს სრული გარანტია. სამაგიეროდ, მოცემული ტესტის მეშვეობით გამოიკვეთება ის საშუალებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად აგა-რიდებთ არასასურველ შედეგს. აი, რა ნაბიჯები უნდა გადადგათ პროფესიის არჩევისას, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ.

თითოეულ პროფესიას მიუსადაგეთ ქვემოთ მოცემული წინადადების შინაარსი. თუ პროფესია თქვენთვის მისაღებია და ეთანხმებით მას, შემოხაზეთ "მართალია", თუ არ ეთანხმებით – "მცდარია". ის პროფესია, რომელშიც მეტ დადებით პასუხს ("მართალია") შეაგროვებთ, იქნება თქვენთვის საუკეთესო ვარიანტი.

| | | |
|---|---|---|
| მართალი | მცდარია | ამ სამუშაოს შესასრულებლად მე საკმარისი ინტელექტი და უნარი გამაჩნია (თუ არ იცით, თქვენ მეტი სწავლა და რჩევა გჭირდებათ). |
| მართალია | მცდარია | მე შემიძლია საჭირო ცოდნა, კვალიფიკაცია მივიღო, რათა კარგად ვიმუშაო. |
| მართალია | მცდარია | მე ვიცნობ ამ პროფესიის ადამიანთა ცხოვრე-ბას და ეს გზა ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. |
| მართალია | მცდარია | მე ვეცდები, სათანადოდ გავვარჯიშდე. |
| მართალია | მცდარია | ამ სამუშაოს შესრულებისას წლების განმავლობაში ვიგრძნობ თავს ბედნიერად. |
| მართალია | მცდარია | ჩემი თანამშრომლები, მეგობრები და ამხანაგები ფიქრობენ, რომ მე წარმატებას |

მივაღწევ ამ საქმიანობაში

შემდეგ მოსწავლეებს ვყოფდით 3 კაციან ჯგუფებად და ვთხოვდით, ერთმანეთი-სთვის ეთქვათ, თუ რომელი პროფესია შეეფერება მათ პიროვნულ ტიპს და უნდა ჩაეწერათ მათი პასუხები, რომლებიც უნდა შეედარებინათ მათ მიერ არჩეული პროფესიისთვის.

პირველმა მეგობარმა მითხრა:

ყველაზე მეტად - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
შემდეგი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
შემდეგი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

მეორე მეგობარმა მითხრა:

ყველაზე მეტად - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
შემდეგი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -
შემდეგი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

თუ მიგაჩნიათ, რომ დახმარება გჭირდებათ, მოგვმართეთ ჩვენ."

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვეუბნებოდით: „მიაკითხეთ ბიბლიოთეკას და გადახედეთ ლიტერატურას პროფესიებზე. ნახეთ, ხომ არ გამოგრჩათ პროფესია, რომელიც უახლოვდება

თქვენი „თვითსაკვლევის“ კოდს. შეხვდით და ესაუბრეთ თქვენთვის საინტერესო პროფესიების ადამიანებს, ბევრი მათგანი სიამოვნებით გაგიზიარებთ აზრს, გამოცდილებას. თუ დაბალი ქულები დააგროვეთ, „თვითსაკვლევის“ გამოყენებამ შეიძლება ვერ მიგიყვანოთ სასურველ პროფესიამდე. თანაბრად მაღალი ქულების შემთხვევაში კი ტესტი რამდენიმე ვარიანტს შემოგთავაზებთ. შეიძლება „თვითსაკვლევის“ ჯამურმა კოდმა შემოგთავაზოთ მხოლოდ ერთი პროფესია, რომელიც თქვენ არ მოგწონთ.“

ერთნაირად დაბალ და ერთნაირად მაღალ ქულებს აგროვებს პიროვნება, რომელაც არა აქვს ნათლად გამოხატული ინტერესები. ჩვეულებრივ, მათ მეტი დრო სჭირდებათ იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენენ თავად და რას ითხოვენ პროფესიისგან. ჩამოუყალიბებელი ინტერესები უფრო ხშირად ახალგაზრდებს აქვთ, ვიდრე მოზრდილებს.

პროფესიის არჩევის საწყის ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საკუთარი ინტერესების გაანალიზება. პროფესიული ორიენტაციის კონტექსტში, ინტერესი გამოხატავს ადამიანის მიერ გარკვეული საქმიანობის, მისი შემადგენლებისა და ხასიათის მოწონებას. თუ ინდივიდს მოსწონს სამუშაოს მახასიათებლები, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული საქმიანობა მისთვის საინტერესოა და შესაბამისად, ამ პროფესიაში ის უფრო მეტად მოახერხებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, ავტორიტეტის მოპოვებას, წარმატების მიღწევასა და საბოლოო ჯამში, კმაყოფილი იქნება საკუთარი სამუშაოთი.

თუმცა, არსებობს გარკვეული სახის სირთულეები: ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია ინტერესთა ფართო სპექტრი, რომელიც სხვადასხვა სამუშაოსთან თუ პროფესიასთანაა დაკავშირებული. ზოგი ინტერესი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ ერთ პროფესიას, ზოგი კი - საქმიანობათა მთელ სფეროს, რომელშიც უამრავი პოზიციაა თავმოყრილი. აღსანიშნავია ისიც, კონკრეტული სფეროს მიმართ ინტერესი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს გააჩნია ამ პროფესიაში წარმატების მიღწევისათვის საკმარისი უნარები და შესაძლებლობები. მაგალითად, შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ადამიანების დახმარება, მაგრამ არ ჰქონდეთ შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ გახდეს ექიმი; სურდეს მომღერლობა, მაგრამ არ ჰქონდეს მუსიკალური სმენა და ხმა. ის, რომ ადამიანი დაინტერესებულია კონკრეტული საქმის კეთებით, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ინტერესის გათვალისწინებით პროფესიის შერჩევის შემთხვევაში, შესაბამისი სამუშაოს შესრულება მიანიჭებს სიამოვნებას. მაგალითად, ადამიანს შეიძლება მოსწონდეს საკუთარი თავისთვის ტანსაცმლის შეკერვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მკერავად მუშაობის შემთხვევაში, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში კერვა მას მიანიჭებს სიამოვნებას.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, დავხმარებოდით მოსწავლეებს პროფესიული ინტერესების დადგენაში, მიგვეწოდებინა ზოგადი ინფორმაცია იმ პროფესიების შესახებ, რომელიც შეესატყვისებოდა მათ ინტერესებს, ხოლო უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეეძლოთ მოემართათ ინდივიდუალური კონსულტაციისთვის. პროფესიული ინტერესების დასადგენად გამოვიყენეთ ე. კლიმოვის მეთოდიკა - „პროფესიული ინტერესების საკვლევი კითხვარი.“ კითხვარის საშუალებით ვადგენდით პიროვნების ინტერესების სფეროს 5 კრიტერიუმის მიხედვით და მოსწავლეებს იქვე განვუმარტავდით, თუ რომელი პროფესია შეესაბამებოდა მათ ინტერესებს. განვიხილოთ თითოეული კრიტერიუმი და ასევე, მისი მიმართება პროფესიებთან:

1. **ადამიანი-ბუნება**
   **შრომის ძირითადი საგანია**-მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები, მიკროორგანიზმები.
   **პროფესიები:** ბოტანიკოსი, ბიოლოგი, ფიზიოლოგი, ვეტერინარი, ზოოლოგი, ეკოლოგი, ტექნოლოგი (კვების მრეწველობა), ჰიდრობიოლოგი, მებაღე, ფერმერი და ა. შ.
2. **ადამიანი - ტექნიკა**
   **შრომის ძირითადი საგანია** - ტექნიკური ობიექტები, მანქანები, მექანიზმები, ენერგიის სახეები.
   **პროფესიები:** მემანქანე, ელექტრიკოსი, ინჟინერ-მექანიკოსი, ტელეკომუნიკაციის სპეციალისტი, პილოტი, ბორტინჟინერი, ავიამექანიკოსი, კომპიუტერის ამწყობი, მშენებელი, სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი და ა. შ.
3. **ადამიანი - ნიშანთა სისტემა**
   **შრომის ძირითადი საგანია** - პირობითი ნიშნები, ციფრები, კოდები, ბუნებრივი და ხელოვნური ენები.
   **პროფესიები:** პროგრამისტი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბუღალტერი, კონსტრუქტორი, ლაბორანტი, ლინგვისტი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, ფარმაცევტი და ა. შ.
4. **ადამიანი - შემოქმედება**
   **შრომის ძირითადი საგანია** - შემოქმედებითი ხატი (მხატვრული ნიმუში), მისი შექმნის უნარი.
   **პროფესიები:** მსახიობი, დირიჟორი, კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნე, რეჟისორი, კომპოზიტორი, მუსიკოსი, მხატვარი, ქორეოგრაფი, მწერალი, არქიტექტორი, დიზაინერი, ფოტოგრაფი, მოდელიორი, კულინარი და ა. შ.
5. **ადამიანი - ადამიანი**
   **შრომის ძირითადი საგანი**- ადამიანი, ჯგუფი, კოლექტივი.
   **პროფესიები:** მასწავლებელი, ექიმი, ფსიქოლოგი, მენეჯერი, კონსულტანტი, ადვოკატი, მოსამართლე, პოლიციელი, მდივანი, სოციოლოგი, გიდი, ჟურნალისტი, სტილისტი, ბარმენი, მზარეული, სოციალური მუშაკი, სარეკლამო აგენტი, და ა. შ.

თანამედროვე საკადრო კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია პრიორიტეტების სწორად განაწილება და მართებული, მომავალზე გათვლილი არჩევანის გაკეთება, ასევე, საჭიროა საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება. ამის დასადგენად გამოვიყენეთ „პიროვნების პროფესიული ორიენტაციის შესასწავლი კითხვარი.“ კითხვარს ახლავს პასუხების ფურცელი, სადაც მოსწავლეებს უნდა გადაეტანათ თავიანთი მოსაზრებები.

დასასრულს, უნდა დაეწერათ, შეცვალა თუ არა გადაწყვეტილება ტრენინგის დასრულების შემდეგ.

**ტრენინგის შემდეგ ჩემი გადაწყვეტილება იგივე დარჩა**----------
**ტრენინგის შემდეგ ჩემი გადაწყვეტილება შეიცვალა** ----------

**მონაცემების ანალიზი**

კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა 227 რესპონდენტი.

**ცხრილი 1. ჯგუფების მახასიათებლები**

| ქალაქი | სკოლა | რესპონდენტების რაოდენობა | | ასაკი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გოგონები | ბიჭები | 16 წლის | 17 წლის |
| ბათუმი | I, II, IV, VIII, IX, XVII, XVIII, XX, სკოლა „ნიკე“ | 112 | 115 | 51 | 176 |

კვლევა ჩატარდა 9 ჯგუფში (თითოეულ ჯგუფში რესპონდენტთა რაოდენობა ≥35). კვლევა ტარდებოდა ბათუმის I, II, IV, VIII, IX, XVII, XVIII, XX საჯარო სკოლებში და კერძო სკოლა „ნიკე“-ში.

დიაგრამა 1




ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზით გამოჩნდა, რომ გოგონები და ბიჭები ირჩევენ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ პროფესიებს, რაც ვფიქრობთ, განპირობებულია სქესის გავლენით. ძირითადად, ბიჭები ირჩევენ მეზღვაურის, სამართალმცოდნეობის და ეკონომისტის პროფესიას. ჩვენი აზრით, ბიჭების მიერ მეზღვაურის პროფესიის არჩევას განაპირობებს გეოგრაფიული მდებარეობა (ზღვისპირა ქალაქში ცხოვრება), სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივა და შედარებით მაღალი ხელფასი. გოგონების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს შემდეგ პროფესიებს: მედიცინა, ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, სამართალმცოდნეობა. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული პროფესიების არჩევა განპირობებულია იმით, რომ ეს პროფესიები მათ მიაჩნიათ მოდურ და პრესტიჟულ პროფესიებად.

დიაგრამა 2




კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ 89 რესპონდენტთან ტესტირების შედეგები და მათ მიერ არჩეული პროფესია შეესაბამება ერთმანეთს, ხოლო 138 რესპონდენტთან ტესტირების შედეგები არ შეესაბამება მათ მიერ არჩეულ პროფესიას.

დიაგრამა 3




შემოწმებული კითხვარების პასუხებიდან ირკვევა, რომ 227 რესპონდენტიდან ტრენინგის ჩატარების შემდეგ 76 - მა რესპონდენტმა შეცვალა მიღებული გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, რომ 4 საათიანი ტრენინგის ფონზე, ეს მნიშვნელოვანი ციფრია.

დიაგრამა 4




ირკვევა, რომ გოგონების უმრავლესობამ შეცვალა გადაწყვეტილება, მას შემდეგ, როცა გააცნობიერა თავისი უნარები და შესაძლებლობები, ინტერვიუს დროს ამბობდნენ, რომ „ურჩევნიათ აირჩიონ ისეთი პროფესია, რომლის დაუფლების დროს ნაკლები ძალისხმევა დასჭირდებათ“.

დიაგრამა 5




**დასკვნები**

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ვასკვნით:

1. პროფესიის არჩევისას არჩევანის გაკეთება უმეტეს შემთხვევაში ხდება არა მისწრაფებების და შინაგანი მოწოდების მიხედვით, არამედ სხვა კრიტერიუმების მიხედვით:

(ა) პროფესიის პოპულარობა და ცნობადობა სოციუმის მიერ;

(ბ) უმაღლესი განათლების არქონის გამო სოციუმიდან გარიყვის შიში, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის არჩევანის გაკეთებას რაციონალური და ლოგიკური მახასიათებ-ლების მიხედვით. კერძოდ, არ ხდება არჩევანის გაკეთება უნარებისა და შესაძლებ-ლობების შესაბამისად;

გ) არჩევანის გაკეთებას ძირითადად ახდენენ მშობლების სურვილით და არა - საკუთარი ინტერესების მიხედვით;

დ) ბიჭები არჩევანს ძირითადად აკეთებენ შემოსავლის მიხედვით;

2. ტესტირებისა და ტრენინგების ჩატარების შემდეგ ცდის პირთა 3% -მა შეცვალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების შეცვლა განაპირობა ჩატარებული ტესტირების შედეგების შესა-ბამისობამ არჩეულ პროფესიასთან;
4. გოგონებსა და ბიჭებს შორის გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება გადაწყვე-ტილების შეცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ძირითადად, გადაწყვეტილება შეცვალეს გოგონებმა;
5. მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ბიჭებთან. კერძოდ, ისინი პროფესიას ირჩევენ არა საკუთარი ინტერესების, არამედ შემოსავლის მიხედვით (უმრავლე-ობამ აირჩია მეზღვაურის პროფესია, ვინაიდან მაღალანაზღაურებადი პროფესიაა და ამასთანავე, დასაქმების მეტი პერსპექტივაა);
6. მოსწავლეები განიცდიან ინფორმაციის დეფიციტს პროფესიებთან დაკავშირებუ-ლი საკითხების შესახებ;
7. სკოლები არაა სათანადოდ მომზადებული პროფორიენტაციული ღონისძიებების გასატარებლად;
8. საჭიროა და აუცილებელი სკოლაში დარგის სპეციალისტის მიერ ტარდებოდეს ტრენინგები და სემინარები პროფორიენტაციის საკითხებზე.

## ლიტერატურა

1. გერიგი რ., ზიმბარდო ფ. (2009), ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

2. გოგიჩაიშვილი თ. (2005) განვითარების ფსიქოლოგია. თბილისი

3. პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები (2008), ნაწილი I-II (შემდგენელი გ. ქირია). თბილისი

4. Akimova T.N. Lisichanska A.V. (2017), Professional orientation of is school as a means of identity formation graduate. National Association of Scholars. no 9-1 (14)

5. D. H. Schunk, M. K. DiBenedetto. (2020), Contemporary Educational Psychology 60, 101832https://doi.org/10.1016/j.cedpsych.2019.101832

6. Darling-Hammond, L. Flook, C. Cook-Harvey, B. Barron, D. Osher. (2019), Implications for educational practice of the science of learning and development. Appl. Dev. Sci. pp. 1-44

7. E. Farmer (Ed.), Health and Human Rights, 19(2), 265-277. Retrieved from http://www.jstor.org/stable/90016131

8. Heggen, K., & Terum, L. (2017). The impact of education on professional identity. In Blom B., Evertsson L., & Perlinski M. (Eds.), Social and caring professions in European welfare states: Policies, services and professional practices (pp. 21-36). Bristol: Bristol University Press.
9. I. Aleksandrov, M. Fedorova, (2019). E3S Web of Conferences 110, 02019 https://doi.org/10.1051/e3sconf/201911002019
10. Kryukova A.V.A. khmetzyanova S.V. Palshina I.V.Manaenkova Yu. N (2017), Improving the quality of professional orientation of students in the system of continuous education of the "school-University innovations in education.. no. 11. Pp151-158.
11. M. Flores-Meléndez, J.J. Góngora-Cortés, M.V. López-Cabrera, I.E. Eraña Rojas (2019), El «Llamado» de la Medicina: uso de nuevos modelos de mentoría para la orientación vocacional. Educ. Méd., 21 (2) pp. 145-148
12. O. Kalinina, I. Kapustina, S. Barykin, E. Balchik, A. Sedyakina, (2019). Proceedings of the 33rd. International Business Information Management Association Conference, IBIMA 2019: Education Excellence and Innovation Management through Vision 2020, 9410-9419
13. Papkova N.E.Bagrova N.B. (2017), Career guidance of students: Russian and foreign experience. Scientific notes of the Russian state social University. . vol.16. no. 5 (144). Pp. 183-191
14. Prjazhnikov, N.S. (2017). Metody oriyentirovki v psikhologicheskikh «prostranstvakh» samoopredeleniya [Guidance methods in psychological «spaces» of self-determination]. National Psychological Journal. 3, 121-135. [in Rus.]
15. O. Rasskazova, O. Kalinina, E. Zotova, (2018). MATEC Web of Conferences 170, 01041 https://doi.org/10.1051/matecconf/201817001041
16. Razinkina, E., Pankova, L., Trostinskaya, I., Pozdeeva, E., Evseeva, L., & Tanova, A. (2018). Student satisfaction as an element of education quality monitoring in innovative higher education institution. E3S Web of Conferences, Vol. 33, 03-43 (2018).https://doi.org/10.1051/e3sconf/20183303043
17. Samsaliev M. M. Vocational orientation of high school students (an empirical study of social educator), (2017). Education and training. no. 2 (12). pp. 107-112 . (in Russian
18. Stankevich A.V.Rubtsov, E.i.Ansimov, V.L. Medvedev V.V. Kukushkin, K. E., Gorbachev S. M. (2017). Formation of the value orientations of students in vocational training. Young scientist.. no. 34 (168). pp. 120-123 . (in Russian)
19. Zayats N. (2016), Professional orientation of students of middle level secondary school.Novainfo.ru. vol.1. no 40 pp.